

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის კანონის პროექტის

განმარტებითი ბარათი

ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს სოციალური მიმართულება, კერძოდ სოციალური ინფრასტრუქტურისა თუ კომუნალური პირობების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას, ისე სამეწარმეო სექტორის გააქტიურებას. აქ იგულისხმება საბიუჯეტო დაფინანსებაში უშუალოდ სახელმწიფო შესყიდვების საკამოდ მაღალი წილი და ამით სამეწარმეო სექტორისადმი დაკვეთის ზრდა, ამავე დროს კერძო სექტორში ინვესტიციების გააქტიურება.

ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები და პარამეტრები

უკვე რამდენიმე წელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა აჩვენებს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალ ტემპს (საერთო სახელმწიფოებრივთან შედარებით 2-3%-ით მაღალი). რაც გამოწვეულია რეგიონის ეკონომიკური განვითარების დიდი შესაძლებლობებით და ძლიერი მხარეებით (ადამიანური და ბუნებრივი რესურსების, გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით), საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტური მუშაობით, ასევე, აჭარის ეკონომიკის დაბალი სასტარტო მაჩვენებლებით (2004 წელს).

რეგიონის განვითარების მნიშვნელოვანი შედეგები უკვე სახეზეა. კერძოდ, გაიზარდა რეგიონის მიმართ როგორც შიდა, ისე უცხოელი ინვესტორების დაინტერესება, ამოქმედდა ათეულობით მსხვილი საწარმო-ორგანიზაცია, კვლავაც მიმდინარეობს ინვესტიციების დაბანდება, რომელიც უახლოეს ორ-სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გაზრდის სამეწარმეო სექტორის აქტივობას, ეს კი კიდევ უფრო სტაბილურს და მოცულობითს გახდის საბიუჯეტო შემოსავლებს, გაზრდის დასაქმების მოცულობას და ხარისხს.

მიმდინარე წლის აგვისტოში განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ აგვისტოს ცნობილი მოვლენების დაწყებამდე, მთელი საქართველოს მასშტაბით, შეიმჩნეოდა ეკონომიკური ინდიკატორების ცვლა, კერძოდ, მთლიანი ბრუნვის, სამეწარმეო სექტორში გამოშვებული პროდუქციის და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდის გარკვეული შენელება. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წლის პირველ ნახევარში მშპ-ის ნომინალური ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 22% იყო, მაშინ როცა 2007 წლის პირველ ნახევარში 2006 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეკონომიკა 26%-ით გაიზარდა. ტემპის შენელების ძირითადი მიზეზი იყო მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დღესაც გრძელდება და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ზრდის ტემპი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კიდევ უფრო მეტად არის შემცირებული აჭარაში. მაგალითად, სამეწარმეო სექტორში საერთო ბრუნვის ზრდა რეგიონში მხოლოდ 9%-ის ტოლია, მაშინ როცა 2007 წლის პირველ ნახევარში იგი 35% იყო.

ავტონომიურ რესპუბლიკაში 2007 წლისათვის მთლიანი რეგიონალური პროდუქტის მოცულობა გაუტოლდა 1 162,0 მილიონ ლარს. მიმდინარე წლის ბოლოსათვის მისი მაჩვენებელი სავარაუდოდ მიაღწევს 1 322,0 მილიონ ლარს, 2009 წლისათვის – 1 485,0 მილიონს, ხოლო 2010 წელს 1 782,0 მლნ ლარს. შესაბამისად, ზრდის მოცულობა შეადგენს – 2008 წელს 160 მილიონ ლარს, ხოლო 2009 წელს კი – 163 მილიონ ლარს, 2010 წელს – 297 მილიონ ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები;

(მლნ. ლარი)

№	მაჩვენებლები	2006	2007	2008	2009	2010
1	მთლიანი რეგიონალური პროდუქტი	922,3	1 162,0	1 322,3	1 486,0	1782,0
2	ზრდა წინა წელთან მიმართებაში	207,9	239,7	160,3	163,7	297,0
	ზრდა %	22	26,0	13,8	12,3	20,0
3	მოსახლეობა (ათასი კაცი)	386,2	388,6	390,8	392,9	395,0
4	მრკ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (ლარი)	2 388,1	2 990,2	3 383,5	3 782	4 511,4
5	ინვესტიციები	270	374,5	420	490	630

ფინანსური ბაზრების არასტაბილურობამ ირიბი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე. პირველი აშკარა ნიშნები გამოიხატა საბანკო კრედიტების პროცენტის განაკვეთის ზრდაში. ეს თავის მხრივ გამოწვეული იყო როგორც შიდა მოთხოვნის ზრდით, ასევე ფინანსური რესურსების მოწოდების შემცირებით და შესაბამისად მისი გაძვირებით გარედან. წლის დასაწყისთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები (მიმდინარე ფასებში) 989,2 მლნ ლარით ანუ 13,7 პროცენტით გაიზარდა. თუმცა აგვისტოში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის ივლისთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 7,9 პროცენტით შემცირდა.


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი რეგიონალური პროდუქტი დარგობრივად (მლნ ლარი)

№	დასახელება	2006	2007	2008 პროგნოზი	2009 პროგნოზი	2010 პროგნოზი
1.	სოფლის მეურნეობა	68,0	93,0	100,0	112,5	135,4
2.	მრეწველობა	47,1	67,5	77,8	88,1	105,7
3.	პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	25,3	25,5	27,5	29,7	35,6

4.	მშენებლობა	64,4	79,0	96,7	112,0	134,4
5.	ვაჭრობა	125,7	152,0	162,4	181,9	218,3
6.	სასტუმროები და რესტორნები	30,9	38,2	35,8	42,5	51,4
7.	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	129,9	138,0	168,1	192,4	230,9
8.	საფინანსო შუამავლობა	26,0	39,5	43,1	49,9	59,9
9.	მომსახურების სხვადასხვა სახეები	106,9	138,1	175	198,5	238,2
10.	სახელმწიფო მმართველობა	108,8	125,0	137,5	150	180
11.	განათლება	40,6	45,5	51,6	59	70,8
12.	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	51,1	58,7	66,4	79,5	95,4
I	მთლიანი დამატებული ღირებულება	824,7	1000	1141,9	1296	1556
II	არაპირდაპირი გადასახადები	97,6	162,0	180,4	190,0	226
III	მთლიანი რეგიონალური პროდუქტი (I+II)	922,3	1 162	1 322,3	1 486	1 782

საფუძველი: საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი რეგიონალური პროდუქტი (მლნ ლარი)




როგორც შედეგებიდან და მოსალოდნელი პროგნოზებიდან ჩანს, რეგიონის ეკონომიკურ შედეგებში მნიშვნელოვანი წილი მოდის ტრანსპორტისა და

სასაწყობო მეურნეობის დარგზე. თუმცა ასევე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება მომსახურეობის დარგიც, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც ტურისტულ ინფრასტრუქტურას, ისე საფინანსო ხასიათის მომსახურეობას. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში ტრადიციულად მაღალი წილი მოდის მშენებლობის, ვაჭრობისა და მრეწველობის დარგებზეც, რაც ასევე დამახასიათებელია ჩვენი რეგიონისთვისაც.

მთლიანი რეგიონალური პროდუქტის ზრდა და მისი მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთლიანი რეგიონალური პროდუქტის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებითაც. ეს მაჩვენებელი 2010 წელს, 2006 წელთან მიმართებაში სავარაუდოდ გაიზრდება 1,9-ჯერ და მიაღწევს 4 511,4 ლარს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსახლეობის საშუალო კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდის ინდიკატორს.

მთლიანი რეგიონალური პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (ლარი)



რეგიონის ეკონომიკისათვის შედარებით სტაბილური მდგომარეობა დაიწყო 2005 წლიდან, რის შემდგომაც ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი აღმავლობით ვითარდება. უკვე 2006 წლიდან მნიშვნელოვნად განვითარდა

მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურეობა, მრეწველობა, რამაც თავის მხვრივ ასევე პოზიტიურად იმოქმედა სხვა დარგების განვითარებაზეც. სავარაუდოდ, შემდგომ წლებშიც აღნიშნული დარგები იქნება დომინირებადი, რასაც უპირატესად განაპირობებს რეგიონში მასშტაბური საინვესტიციო პროგრამებისა თუ პროექტების განხორციელება. აღნიშნულის შედეგად კი, 2010 წლის ბოლოსათვის მთლიანი რეგიონალური პროდუქტის მოცულობა, 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, 2,5 ჯერ გაიზრდება.

რეგიონის 2009 წლის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები და პარამეტრები

ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის მაშტაბით ეკონომიკის განვითარების ფაქტორები და ეკონომიკური პროცესების მართვის მექანიზმები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გასატარებელი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფასების რეგულირება და მისი სტაბილიზაცია, სოციალური, საინვესტიციო თუ საპრივატიზაციო პროგრამები, რომელიც ბუნებრივია აისახება ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზეც. აღნიშნულს, თავის მხვრივ, ემატება ის საინვესტიციო და სოციალური პროგრამები, რაც ავტონომიური რესპუბლიკისათვის პრიორიტეტულია და ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტიდან, კერძოდ: გზებისა და სკოლების მშენებლობა-რემონტი, ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით კომუნალური სისტემის გაუმჯობესა-რეაბილიტაციის პროგრამები, საპრივატიზაციო პოლიტიკა, საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი ხელშეწყობა. ყოველივე ეს კი გამოიწვევს კერძო სექტორის გააქტიურებას, ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და შესაბამისად სამშენებლო თუ ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობების განვითარებას. აღნიშნულს ემატება ეკონომიკის ზრდის ტენდენციების შესაბამისად მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს თვით სამეწარმეო სექტორზე.

ეკონომიკის ზრდაზე ასევე პოზიტიურად მოქმედებს როგორც განხორციელებული საპრივატიზაციო მოთხოვნებით აღებული ვალდებულებების

შესრულება (ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება, მოსახლეობის დასაქმება), ისე მოქმედი საწარმოების გაფართოება.

მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის უარყოფითი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე კვლავაც გაგრძელდება. წელს და 2009 წელშიც ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი ტემპებია მოსალოდნელი. თუმცა, სახელმწიფოს მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებებით მოხდება უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა. 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა გააგრძელებს ჩვეულ სწრაფ ზრდას; ხოლო აჭარის რეგიონი იქნება ქვეყნის ფლაგმანი, რეგიონში ეკონომიკური ზრდის ტემპი რამდენიმე პუნქტით მაღალი იქნება საერთო სახელმწიფო მაჩვენებელთან მიმართებაში და მან საშუალოდ უნდა შეადგინოს 20% წელიწადში (ნომინალურ გამოსახულებაში).

ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზი

2009 წლის შემოსულობების საპროგნოზო პარამეტრების გაანგარიშებას საფუძვლად დაედო: ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, რეგიონის საინვესტიციო პოლიტიკა, ქვეყნის მასშტაბით გასატარებელი ფისკალური პოლიტიკა, საპრივატიზაციო პროცესები, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერტის სახით მისაღები შემოსავლები.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირება დამოკიდებულია მის ტერიტორიაზე მობილიზებული შემოსავლების სიდიდეზე, რომელიც საქართველოს კანონის „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ ნაწილდება სახელმწიფო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი შემოსავლები რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ნაწილდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“.

ამასთან გათვალისწინებულია ის საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც გადავდივართ შემოსულობებისა და გადასახდელების

ახალ კლასიფიკაციაზე, ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია ამოქმედდება 2009 წლის პირველი იანვრიდან.

ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია პრინციპულად განსხვავდება 2009 წლამდე მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციისგან, რომელიც აღარ ითვალისწინებს შემოსავლების კლასიფიკაციას საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალურ შემოსავლებად. ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციით გვაქვს შემოსავლები რომელიც მოიცავს:

- 1) გადასახადები
- 2) გრანტები
- 3) სხვა შემოსავლები

გადასახადები გულისხმობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებულ გადასახადებს. გრანტები მოიცავს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებს, ასევე ყველა სახის ტრანსფერს მიღებულს ზემდგომი ბიუჯეტიდან. სხვა შემოსავლები მოიცავს არასაგადასახადო შემოსავლებს გარდა გაცემული სესხის დაბრუნებისა რომელიც მიკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას.

ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია ასევე აღარ ითვალისწინებს კაპიტალური შემოსავლების ცნებას, კაპიტალური შემოსავლები და ხარჯები განიხილება როგორც არაფინანსური აქტივი. ესე იგი, როცა ვყიდით სახელმწიფოს საკუთრებას არაფინანსური აქტივი გვიმცირდება და შესაბამისად, როცა ვიძენთ არაფინანსური აქტივი იზრდება.


ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ფინანსური აქტივების კატეგორიასაც ანუ, როცა ხდება სესხის გაცემა ფინანსური აქტივი იზრდება, ხოლო, როცა ხდება გაცემული სესხის დაბრუნება შესაბამისად ფინანსური აქტივი მცირდება.

ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია ითვალისწინებს აგრეთვე ვალდებულებების ცვლილებას, როცა ხდება სესხის აღება ვალდებულება იზრდება შესაბამისად როცა სესხი იფარება ვალდებულება მცირდება. პრინციპული ცვლილება გამოთანაბრებითი ტრასფერის გაანგარიშებაში, რომლის საფუძველს წარმოადგენს ხარჯების გამოთანაბრების პოლიტიკა.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა

175 266.6 ათასი ლარით, საიდანაც შემოსავლებზე მოდის 90 989.1 ათასი ლარი (საერთო შემოსულობების 51.9%), გრანტები, რომელიც აერთიანებს გამოთანაბრებით და სპეციალურ გრანტებს შეადგენს 30 277.5 ათას ლარს (საერთო შემოსულობების 17.3 %), მათ შორის: გამოთანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა შეადგენს 17 283.4 ათას ლარს რომელსაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები, ხოლო სპეციალური ტრანსფერის მოცულობა შეადგენს 12 994.1 ათას ლარს. არაფინანსური აქტივების კლება (გაყიდვა) განისაზღვრა 54 000 ათასი ლარის ოდენობით (საერთო შემოსავლების 30.8 %).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები წილობრივად (%)



როგორც დიაგრამიდან ჩანს შემოსულობების საერთო მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია საკუთარ შემოსულობებს (შემოსავლები 52 %, არაფინანსური აქტივები (კლება) 31 %) რაც მიანიშნებს ავტონომიური

რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტის დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხზე ესე იგი ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი წილის დანიანსება ხდება საკუთარი შემოსავლების ხარჯზე. მოზიდული სახსრებით ძირითადად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებები რადგან ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარ შემოსავლებს შეადგენს ქონების გადასახადი და სხვა შემოსავლები რომელთა წილი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებში დაბალია, ამიტომ ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებების დიდი ნაწილი ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით. მნიშვნელოვნად გაზრდილია 2009 წელში 2008 წელთან შედარებით რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტში გადასაცემი ტრანსფერები რომელიც შეადგენს 50 009.7 ათას ლარს. წინა წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 15 890.9 ათასი ლარით, რაც უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს პოზიტიურ მომენტად.

ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2009 წლის შემოსულობები განისაზღვრა 116 317.8 ათასი ლარით, საიდანაც გადასახადებზე მოდის 73 000,0 ათასი ლარი, (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკურ ბიუჯეტში ირიცხება მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი) სხვა შემოსავლებზე – 1 150,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება (ქონების გაყიდვა) – 34 000,0 ათასი ლარი. რომელიც აღემატება წინა 2008 წლის მაჩვენებელს რომელიც შეადგენდა 28 795.1 ათას ლარს, ზრდა გამოწვეულია საპრივატიზაციო ობიექტების რაოდენობის ზრდით, კერძოდ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2009 წელში განახორცილებს, როგორც ძირითადი კაპიტალის ასევე სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწების გასხვისებას. ხოლო გრანტების მოცულობა 2009 წელში განსხვავებით 2008 წლისა, როცა რესპუბლიკურ ბიუჯეტს გრანტები საერთოდ არ მიუღია შეადგენს 8 167.8 ათას ლარს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2009 წლის შემოსულობები (ათასი ლარი)

შემოსულობები	2008 წ.	2009 წ.	გადახრა	
	გეგმა	პროგნოზი	ათასი ლარი	%.
გადასახადები	73000	73 000.0	0.0	0.0
საშემოსავლო გადასახადი	73000	73000	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	1414.3	1 150	-264.3	-22.9
არაფინანსური აქტივების კლება	28 795.1	34 000	5 204.9	18.1
გრანტები	0.0	8 167.8	0.0	0.0
სულ საბიუჯეტო შემოსულობები	104 267.4	116 317.8	12 050.4	11.6

ცალკეული სახეობების მიხედვით, 2008 წელთან მიმართებაში, ტენდენცია შემდეგია: საშემოსავლო გადასახადი დარჩა იგივე რაც 2008 წელს 73 000,0 ათასი ლარი ზრდა წინა წელთან მიმართებაში მაინც არის, რადგან 2009 წლის პირველი იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთი მცირდება და შეადგენს 24 პროცენტს ნაცვლად ახლანდელი 25 პროცენტისა, სხვა შემოსავლები 2008 წელთან მიმართებაში შემცირდა 264.3 ათასი ლარით და შეადგინა 1 150,0 ათასი ლარი.

2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტით სხვა შემოსავლების მოცულობის შემცირება გამოწვეულია ობიექტური ფაქტორებით. აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ შემოსავლებს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ახასიათებს არასტაბილური დინამიკა და ერთჯერადობა. ამდენად, ამ მიმართულებით შემოსავლები განისაზღვრა შედარებით დინამიური მონაცემების მიხედვით. შემოსავალი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდებიდან მნიშვნელოვანი შემცირება 2009 წელში 2008 წელთან მიმართებაში გამოწვეულია 2008 წელში ობიექტების გაკოტრებით ანუ აღნიშნულ შემოსავალს ჰქონდა ერთჯერადი სახე. შემოსავალი სანქციები (ჯარიმები და საურავები) მნიშვნელოვანი კლება ამ სახეშიც გამოწვეულია ერთჯერადი გადახდით.

სხვა შემოსავლების პარამეტრები შემდეგია:

შემოსავლების დასახელება		2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
№	სხვა შემოსავლები	2 472.3	1,150.0
1	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	750.3	700.0
2	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	30	
3	სალიცენზიო მოსაკრებელი		
4	სანებართვო მოსაკრებელი	150	155.0
5	სატენდერო მოსაკრებელი	20	40.0
6	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან		
7	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მოსახურების გაწევიდან	140	155.0
8	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	324	100.0
9	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები		

2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, რომელიც შეადგენს 116 317.8 ათას ლარს 2008 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით რომელიც შეადგენდა 104 267.4 ათას ლარს გაზრდილია 12 050.4 ათასი ლარით 11.6 %-ით.


რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვის დროს ძირითადი პრიორიტეტია ბიუჯეტის გამჭვირვალობის ზრდა, რამაც თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს საბიუჯეტო ურთიერთობების ეფექტიანობის ამაღლებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებათა საერთო მოცულობა განისაზღვრა 116 317,8 ათასი ლარით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტში ძირითადად გაზრდილია ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებზე გადასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა, აგრეთვე მნიშვნელოვანი სახსრებია გამოყოფილი საგზაო სატრანსპორტო სისტემების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო სისტემების რეაბილიტაციის ხარჯებზე, რაც წინაპირობაა რეგიონის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარების.


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით



ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი გადასახდელების კუთხით შემდეგნაირად გადანაწილდა: შრომის ანაზღაურება 10 550,6 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 18 876,6 ათასი ლარი, პროცენტი – 90,0 ათასი ლარი, სუბსიდიები – 6 782,9 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 2 380,5 ათასი ლარი, სხვა ხარჯები –

433,2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები 17 024,5 ათასი ლარი და ვალდებულებები – 8 167,8 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით




ფუნქციონალურ ჭრილში ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა – 19 838,0 ათასი ლარი;
2. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა – 2 226,0 ათასი ლარი;
3. ტრანსპორტი – 13 538,6 ათასი ლარი;
4. ტურიზმის განვითარებისათვის, ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით 2009 წლის დაფინანსება შეადგენს – 1 670,5 ათას ლარს;
5. გარემოს დაცვა – 791,9 ათასი ლარი;

6. ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა – 5 502,4 ათასი ლარი;
7. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხარჯები პროგრამული დაფინანსების ჩათვლით – 8 168,5 ათასი ლარი;
8. კულტურის სფეროს დაფინანსება შეადგენს – 4 182,6 ათას ლარს;
9. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ და პროგრამულ ხარჯებზე გათვალისწინებულია 3 726,5 ათასი ლარი;
10. გრანტები ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს 52 009,7 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით



მხარჯავი დაწესებულებებისათვის მიზნობრივი პროგრამები შემდეგნაირად გადანაწილდა:

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებისათვის განისაზღვრა 5 781,5 ათასი ლარი, მისი ძირითადი მიზანია საჯარო სკოლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მოსახლეობისათვის სოციალური მხარდაჭერა (სასკოლო ფორმების, სახელმძღვანელოების შექმნა), საპანსიონო დაწესებულებების რეაბილიტაცია ინვენტარის შექმნა და ახალგაზრდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის, პროფილაქტიკური და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სოციალური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნობრივი პროგრამებისათვის განისაზღვრა 2 606,5 ათასი ლარი, რომლის მიზანია ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა, ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეებზე და ოჯახებზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მხარდაჭერის ღონისძიებები, პირველადი ჯანდაცვის ქსელის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ცოდნისა და უნარჩვევების გაუმჯობესება, მაღალმთიანი რაიონებისათვის ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა მომზადება დეფიციტურ სპეციალობებში, ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა აღმოცენებისა და გავრცელების პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, რეგიონში ეპიდკეთილსაიმედო სიტუაციის შენარჩუნება; აგრეთვე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებისათვის განისაზღვრა 2 148,0 ათასი ლარი, მისი ძირითადი მიზანია ადგილობრივ მოსახლეობასა და ფერმერებისათვის დახმარების გაწევა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა ლოკალიზება, წყლით გადაცემადი ინფექციური დაავადებების შემცირება, ეპიდაფეთქებების თავიდან აცილება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, მოსახლეობის ხარისხიანი და უვნებელი სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, აგრეთვე რეგიონის ზოლანთროპონოზიური დაავადებების მიმართ კეთილსაიმედო ზონად შენარჩუნება.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ 2009 წლის საბიუჯეტო პერიოდისათვის გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პოზიტიური მომენტები:

- გაიზარდა შემოსავლები 6,5 %-ით;

– ეკონომიკის ზრდა შეადგენს 12,3 %;

– გასულ წელთან მიმართებაში კიდევ უფრო გაიზარდა ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოების კეთილდღეობისათვის;

– კიდევ უფრო გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის დაფინანსება, რაც წინაპირობაა რეგიონის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა.

ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის საბიუჯეტო პოლიტიკა კვლავაც იმ აღმშენებლობითი კურსის გაგრძელებაა, რაც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ჩვენს რეგიონში და რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა როგორც სამეწარმეო სფერო, ისე საზოგადოების კეთილდღეობა.